საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

27/02/2025

MES 8 25 0000414629

გადაწყვეტილება

შპს ევროპის უნივერსიტეტის „კერძო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 13 ნოემბრის №1459594 ბრძანების (ბრძანებაში ცვლილება № 1496986, 20/11/2024) საფუძველზე

განხორციელდა შპს ევროპის უნივერსიტეტის „კერძო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.
2.2 ზეპირი მოსმენა გაიმართა 2025 წლის 14 თებერვალს. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „კერძო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2026 წლის 01 ივლისამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „კერძო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 14 თებერვლის სხდომის ოქმის №210623, 27/02/2025, 03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია და რჩევები:

რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია, სავალდებულო იურიდიული პრაქტიკის (კლინიკის) კერძო სამართლის მიმართულებით მინიმუმ 1-წლიანი სამუშაო გამოცდილებით ჩანაცვლების შემთხვევაში, ზუსტად იყოს გაწერილი პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასება.

რჩევები:

- სასურველია, სასწავლო კურსის წინაპირობის დაწესების ან შეცვლის შემთხვევაში, როგორც გამოკვეთილი პრობლემის აღმოფხვრის მიზნით გადადგმული კონკრეტული ნაბიჯი განხორციელდეს იმგვარად, რომ სტუდენტებს არ მოუწიოთ გაუთვალისწინებლად დამატებით საგნის აღება
- სასურველია, პროგრამის აღწერაში ჩაემატოს განმარტება, რომ სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს “საშუალოდ” 30 კრედიტი;

- სასურველია, ცალკეული სასწავლო კურსების თემატიკის დაბალანსება (თემების შერჩევის საკითხში) და თემების თანმიმდევრობის უფრო ლოგიკურად გადანაწილება;
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეცვალოს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე 3 წევრისგან და გაზარდოს ის 5-მდე, რადგან კომისია უფლებამოსულია თუ მას ესწრება საერთო შემადგენლობის 2/3 მაინც;
- სასურველია, უნივერსიტეტმა დაგეგმოს კონკრეტული აქტივობები, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ მკაფიო წარმოდგენა უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური წერის სტილისა და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებთან დაკავშირებით;
- სასურველია, ევროპის უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ პროგრამაში ჩართულ ყველა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ჰქონდეს Google Scholar, Reseachgate, ORCID, Scopus/Elsevier, Web of Science/Clarivate პლატფორმებზე ანგარიშები.
- სასურველია უსდ-მ გააძლიეროს სტუდენტთა მეტი რაოდენობის მოზიდვის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების დაფინანსება, რათა გაიზარდოს პროგრამის შემოსავალი და არ იყოს შეზღუდული პროგრამის განვითარებისაკენ მიმართული აქტივობების განხორციელება, რომლებიც ხშირად მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 14 თებერვლიდან.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კერძო სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	კერძო სამართლის მაგისტრი/Master of Private Law
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	გურამიშვილის გამზ. №76, თბილისი, 0141, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2025 წლის 14 თებერვალი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	კლასტერის ვადით, 2026 წლის 01 ივლისამდე.
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2026 წლის 1 ივლისი